ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6216533

ნომერი: AR1932844

თარიღი : 07.11.2022

გაცემის თარიღი : 21.11.2022

გაცნობის თარიღი : 21.11.2022

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა, N 9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კარლო მშვიდობაძე პ/ნ 62001038592
- სოხუმი ძიძარიას ქ. N 18

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 10.06.2015 წ. №1921838 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე:
მოქ. კარლო მშვიდობაძემ 07/11/2022 წ. №AR1932844 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 10.06.2015 წ. №1921838 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 10.06.2015 წ. №1921838 ბრძანებით №01.17.11.009.016 (15110 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის ასაშენებლად დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ამავე

სამსახურის 24.08.2016 წ. №2795229 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა „არსებული #1/1 შენობა ნაგებობის რეკონსტრუქცია და ერთ სართულიანი სასაწყობე ფართები“. ამავე სამსახურის 21/12/2016 წ. №3010019 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში დადა საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა „შენობა №2/2-ის რეკონსტრუქცია (მიშენება დაშენება), შენობა №1/1-ის რეკონსტრუქცია (მიშენება დაშენება) და ტერიტორიაზე სასაწყობე საოფისე შენობა ნაგებობების მშენებლობა (ახალი მშენებლობა) - მრავალფუნქციური კომპლექსი”.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 10.06.2015 წ. №1921838 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

1) შენობა ნაგებობა 1/1-ის გაბარიტული ზომების გაზრდას. სართულიანობის და შენობის გარე კონტურის გაზრდა.
2) ერთსართულიანი სასაწყობე საოფისე შენობების მშენებლობა.
3) შენობა ნაგებობა 05/1 16/1 ის დემონტაჟი.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, 21/12/2016 წ. №3010019 ბრძანებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირებულია „„შენობა №2/2-ის რეკონსტრუქცია (მიშენება დაშენება), შენობა №1/1-ის რეკონსტრუქცია (მიშენება დაშენება) და ტერიტორიაზე სასაწყობე საოფისე შენობა ნაგებობების მშენებლობა (ახალი მშენებლობა) - მრავალფუნქციური კომპლექსი”, AR1932844 განაცხადით მოთხოვნილი სამუშაოები არ საჭიროებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მიერ გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100, 102-ე მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

AR1932844 განაცხადით მოთხოვნილ სამუშაოებთან დაკავშირებით გაცნობებთ:

1) N1/1 შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის კორექტირება არ საჭიროებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მიერ გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას.
2) ერთსართულიანი სასაწყობე და საოფისე შენობა-ნაგებობების ახალი შენობის მშენებლობისთვის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მიერ 21/12/2016 წ. №3010019 ბრძანებით გაცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ვადაგასულია.
შენობა-ნაგებობების დემონტაჟი არ საჭიროებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.